



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №09

06 თებერვალი 2018 წ.

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელსაც არ მიეცემა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, ყოველთვიურად უფლებამოსილების განხორციელებისათვის, განესაზღვროს სადეკუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ოდენობა თვეში 600 (ექვსასი) ლარით.

მუხლი 2.

წინამდებარე დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის N31 დადგენილება (www.matsne.gov.ge 11/09/2015 N010250000.35.159.016210)

მუხლი 3.

დადგენილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე